**ავტორი: ნონა ქურდოვანიძე**

# ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმა

## რა უნდა გააკეთოს საქართველომ ევროკავშირში გასაწევრიანებლად აუცილებელი პირობის დასაკმაყოფილებლად

დოკუმენტი მომზადდა **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის** მიერ, **საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის** და **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) მხარდაჭერით, **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის** (EWMI) მიერ განხორციელებული **USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის** დაფინანსებით.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

## 1. არსებული მდგომარეობა

საქართველოში ისევ მოქმედებს საბჭოთა პერიოდში მიღებული და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან შეუსაბამო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სტანდარტებთან არსებითი შეუსაბამობის გამო, მცირე ცვლილებებით კოდექსის გაუმჯობესება შეუძლებელია. შესაბამისად, აუცილებელია, გატარდეს მისი სისტემური რეფორმა.

1984 წელს მიღებულ კოდექსში წლების განმავლობაში 500-ზე მეტი ცვლილება შევიდა, თუმცა, ისინი არსებითად არ შეხებია იმ ფუნდამენტურ საკითხებს, რომლებიც კოდექსის ინსტრუმენტალიზების მთავარ საფუძვლებს ქმნის. ის ვერ აკმაყოფილებს სამართლიანი პროცესის მოთხოვნებს, ცალკეული სამართალდარღვევის

ჩადენისთვის ითვალისწინებს მძიმე სახდელებს, მათ შორის, ადმინისტრაციულ პატიმრობას, თუმცა, აწესებს გაცილებით ნაკლებ პროცედურულ გარანტიებს, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მიმართ არსებობს. გარდა ამისა, არ ითვალისწინებს უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნებს, მოსამართლეს არ ავალდებულებს, იხელმძღვანელოს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, საქმის განხილვის და სანქციის გამოყენების შემჭიდროებული პროცედურები კი ვერ უზრუნველყოფს ეფექტიან წარმომადგენლობას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არსებული ფორმით მოქმედება ყოველდღიურად იწვევს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას. წლების განმავლობაში გამოვლენილი ამგვარი ფაქტები დოკუმენტირებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საიას), სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, სახალხო დამცველის ანგარიშებში.[1] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენებით ფუნდამენტური უფლებების დარღვევის პრაქტიკა აშკარა იყო 2024 წელსაც, განსაკუთრებით, რუსული სტილის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების პარალელურად მიმდინარე აქციების მონაწილეთა წინააღმდეგ. ასობით მშვიდობიანი მომიტინგე უსაფუძვლოდ, ნეიტრალური მტკიცებულების გარეშე, მხოლოდ პოლიციელთა ჩვენების საფუძველზე ცნო სასამართლომ სამართალდამრღვევებად.[2] საპასუხოდ, სახელმწიფო აღიარებს რეფორმის საჭიროებას, თუმცა, პოლიტიკური ნების არარსებობის პირობებში, დღემდე ინარჩუნებს მას.

1 მაგ. იხ. საიას ანგარიში „საქართველო 2023 წელს“, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/f1hqN, გადამოწმებულია: 29.09.2024; საიას ანგარიში „დაკარგული თვალის მიღმა (20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება)“, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/StPTk, გადამოწმებულია: 29.09.2024; საიას ანგარიში „სამართალდარღვევად მიჩნეული პროტესტი“, ხელმისაწვდომია:https://shorturl.at/e6rZ7, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/rU4q6, გადამოწმებულია: 29.09.2024; „როგორ შევწყვიტოთ საქართველოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის არაკონსტიტუციური გამოყენება“, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILEP), 2013. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/t8Spg, გადამოწმებულია: 29.09.2024; Human Rights Committee Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, 2022. ხელმისაწვდომია: https://t.ly/WF1Br, გადამოწმებულია: 29.09.2024.

2 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ჯგუფის მიერ წარმოებული საქმეების სტატისტიკა. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/4FaFF, გადამოწმებულია: 29.09.2024.

## 2. რა პირობას ადგენს ევროკავშირი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან შეუსაბამობის გამო, ევროპულმა კომისიამ საქართველოსთან მიმართებით მე-9 ნაბიჯის კონტექსტში დაადგინა პირობები, რომლებიც სახელმწიფომ უნდა დააკმაყოფილოს იმისთვის, რომ ევროკავშირის წევრი გახდეს.[3]

მე-9 ნაბიჯის შესაბამისად, საქართველომ უნდა გააუმჯობესოს ადამიანის უფლებათა დაცვა, მათ შორის, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის გზით.[4] ამ ნაბიჯის შესასრულებლად, 2023 წლის გაფართოების პაკეტის ფარგლებში გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ევროკავშირის მოლოდინია, რომ საქართველო დაინტერესებული პირების ფართო ჩართულობით დაიწყებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სისტემურ ცვლილებაზე მუშაობას. კოდექსის ცვლილების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები. მათ შორისაა: ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა უფლებების არასათანადო დაცვის გარანტიების გაძლიერება, მტკიცების ტვირთის სტანდარტის გაუმჯობესება ისე, რომ დაკავებულებს არ უწევდეთ მათი უდანაშაულობის მტკიცება, დაკავების კანონიერების შემოწმების ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის არსებობა და სხვა.[5]

**3** ევროპული კომისიის 2023 წლის გაფართოების ანგარიში საქართველოსთან მიმართებით, ხელმისაწვდომია: https://t.ly/dcMWP, გადამოწმებულია: 29.09.2024.

**4** იქვე.

**5** იქვე, გვ. 29-30, 38.

## 3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის წარუმატებელი მცდელობები

ბოლო წლებში არაერთხელ დაიწყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმაზე მუშაობა, თუმცა, პოლიტიკური ნების არარსებობის პირობებში, ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

### სამთავრობო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი

2014 წლის 3 ნოემბრის №1981 განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ შექმნა სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშემწყობი სამთავრობო კომისია, რომელმაც რეფორმის პროექტი შეიმუშავა.[6] ამ მოდელის თანახმად:

- სისხლის სამართლის კოდექსს უნდა დამატებოდა დანაშაულის ახალი კატეგორია - „მსუბუქი დანაშაული“. ამ კატეგორიაში ექცეოდა გადაცდომები, რომლებიც, სისხლისსამართლებრივი ხასიათიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან გადავიდოდა სისხლის სამართლის კოდექსში (მაგალითად, წვრილმანი ხულიგნობა, პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა). ამასთანავე, მსუბუქი დანაშაულის ჩადენა არ გამოიწვევდა პირის ნასამართლობას;
- მსუბუქი დანაშაულის კატეგორიაში მოქცეულ დანაშაულებზე გავრცელდებოდა სისხლისსამართლებრივი პროცესის წესები (სისხლისსამართლებრივ დევნას განახორციელებდა პროკურატურა), რაც უზრუნველყოფდა მტკიცების უფრო მაღალ სტანდარტს და პროცესუალურ გარანტიებს;
- გადაცდომებზე, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დარჩებოდა, ადმინისტრაციულ წარმოებას, საგნობრივი იურისდიქციის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოები განახორციელებდნენ. მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე გავრცელდებოდა სრული სასამართლო კონტროლი სამართლიანი განხილვის სტანდარტების მიხედვით;

6 საიას მიმოხილვა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა“, 2021 წელი. ხელმისაწვდომია: https://t.ly/XoGiL; გადამოწმებულია: 29.09.2024.

- ადმინისტრაციულ გადაცდომებზე გაუქმდებოდა ადმინისტრაციული პატიმრობა, როგორ სანქციის სახე;
- გაუქმდებოდა ადმინისტრაციული დაკავების მექანიზმი.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი

2019 წლის 16 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმაზე მუშაობის დაწყება დააანონსა, რაც 2019 წლის ივლისამდე კანონპროექტის მომზადებით უნდა დასრულებულიყო. შსს-მ პროექტზე მუშაობა 2019 წლის ივნისში დაასრულა, თუმცა ის დაინტერესებული პირებისთვის აღარ წარუდგენია. ამდენად, უცნობია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის როგორი მოდელი შეიმუშავა სამინისტრომ.

## საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გეგმა

ბოლო წლებში დაანონსებული რეფორმის 2 წარუმატებელი მცდელობის შემდგომ ამ საკითხზე მუშაობის დაწყების ვალდებულება საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა აიღო. კომიტეტის 2021, 2022, 2023 და 2024 წლების სამოქმედო გეგმების თანახმად, ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მისაღებად უნდა შემუშავებულიყო კანონპროექტის სამუშაო ვერსია.[7] თუმცა, მე-10 მოწვევის პარლამენტი ისე ამთავრებს მუშაობას, რომ ამ დრომდე საკითხით დაინტერესებული პირებისთვის ეს სამუშაო ვერსიაც კი არ წარმოუდგენია.

7 საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2021 წლის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/dJVfS; საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/elogI; საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/cePUx; საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2024 წლის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/TQgcm.

## 4. სტრატეგიული სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არაკონსტიტუციური გამოყენების შესაჩერებლად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საკონსტიტუციო სასამართლოში სტრატეგიული სამართალწარმოება 2015 წლიდან დაიწყო. 2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, ორგანიზაციას საკონსტიტუციო სასამართლოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცალკეულ მუხლებზე წარდგენილი აქვს **17 სარჩელი**.[8] ამათგან, ამ დროისათვის **დაკმაყოფილდა 7 სარჩელი**. სასამართლომ არსებითად განსახილველად **არ მიიღო 4 მათგანი, თუმცა, განჩინებებში გაკეთა მნიშვნელოვანი განმარტებები.**[9] ამჟამად განხილვის ეტაპზეა 6 სარჩელი. [10]

საიას სტრატეგიულმა სამართალწარმოებამ კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ფუნდამენტური პრობლემები. საიას საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, პირველად მოხდა მძიმე სამართალდარღვევების სხვა გადაცდომებისგან გამიჯვნა. მძიმე სამართალდარღვევებად საკონსტიტუციო სასამართლომ იმგვარი გადაცდომები მიიჩნია, რომლებისთვისაც სანქციის სახით პატიმრობაა გათვალისწინებული. თუმცა, არ გამორიცხა, რომ, ადმინისტრაციული პატიმრობის მსგავსად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სხვა სანქციაც აღწევდეს უფლების შეზღუდვის ინტენსივობის იმ ხარისხს, რომელიც საკმარისია შემადგენლობის მძიმე სამართალდარღვევად მისაჩნევად.[11]

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციოს სასამართლოს ამ დროისათვის არ განუხილავს საიას მიერ გაგზავნილი ის საქმეები, რომლებსაც, გასაჩივრებული საკითხების ყოვლისმომცველობიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არსებითი რეფორმის დასაწყებად ბიძგის მიცემა შეუძლია. ეს საქმეები საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად 2019 წლის 17 დეკემბერს მიიღო, თუმცა თითქმის 5 წლის განმავლობაში არსებითი განხილვის სხდომა არ ჩატარებულა.[12]

**8** ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ (26.01.2015, N622); დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (20.06.2016, N1756); ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (03.10.2017, N1263); ბესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (04.07.2019, N1271); ირაკლი ჯუღელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (15.02.2019, N1412); შპს „ბექანასი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (30.12.2019, N1475); გიორგი გოცირიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (30.12.2019, N1476).

**9** ნატალია ფერაძე და კონსტანტინე გურული საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (22.09.2017, №1730); ვასილ ჟიჟიაშვილი და გიორგი გოცირიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (14.02.2020, N1623); დავით ნებიერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (21.04.2021, N1768); თათია ნიკოლაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (18.08.2023, N1791).

**10** კონსტანტინე ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (20.11.2018, N1367); ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და კონსტანტინე ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (30.10.2018, N1361 და 09.06.2020, N1510); ბონდო თევდორაძე, ანზორ გუბაევი და ხათუნა ბერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (10.06.2020, N1511); ვასილ ჟიჟიაშვილი და გიორგი ფუტკარაძე შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ (16.12.2021, N1666); ნატალია ფერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (2024 წლის 22 იანვარი); დავით ნებიერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (04.09.2029, N1838).

**11** დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (20.06.2016, N1756).

**12** ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და კონსტანტინე ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (30.10.2018, N1361 და 09.06.2020, N1510).

## 5. გამოსავალი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების შეჯამების შემდგომ, ახალი მოწვევის პარლამენტმა უნდა გაატაროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემური რეფორმა. ამ მიზნით:

- საქართველოს მე-11 მოწვევის პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, დაინტერესებული პირების ფართო ჩართულობით, უნდა შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანიც იქნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის პროექტის მომზადება. რეფორმით გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები. მათ შორის, უნდა გაუმჯობესდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მტკიცების ტვირთის სტანდარტები, ადმინისტრაციული წესით პასუხისგებაში მიცემულ პირთა უფლებების დაცვის გარანტიები, დაკავების კანონიერების შემოწმების სამართლებრივი მექანიზმი.
- საქართველოს მე-11 მოწვევის პარლამენტმა 2025 წლის საგაზაფხულო სესიაზე უნდა მიიღოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის ფარგლებში შემუშავებული საკანონმდებლო პაკეტი.

რეფორმის სრულად გატარებამდე, გარდამავალ პერიოდში, არსებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედების პირობებში, ადამიანის უფლებების დარღვევის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად/შესამცირებლად:

### საქართველოს პარლამენტმა

- საქართველოს მე-11 მოწვევის პარლამენტმა გამოიყენოს საზედამხედველო მექანიზმები. შექმნას თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლო სისტემაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენებისას ადამიანის უფლებების დარღვევის პრაქტიკას. შეისწავლოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

დადგენილი სტანდარტების გათვალისწინების საკითხი.

### საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ

- მიიღოს ზომები, რათა დაკავებულს ჯეროვნად და მისთვის გასაგები ფორმით მიეწოდებოდეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მას აქვს ადვოკატის ყოლის უფლება. ასევე, აღმოიფხვრას ხელოვნური ბარიერები ადვოკატებისთვის. მიეცეთ მათ შესაძლებლობა, დაუყოვნებლივ შეხვდნენ დაკავებულებს. დაინერგოს უფლებების განმარტების პროცესის ვიდეოფირზე აღბეჭდვის პრაქტიკა;
- უზრუნველყოს დაკავებული პირისა და ადვოკატის კონფიდენციალური შეხვედრის შესაძლებლობა პოლიციის დაწესებულებაში, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნით. ასევე, მოხდეს დაკავებული პირის მხრიდან ოჯახისა ან ადვოკატის შეტყობინების ფაქტის სათანადო დოკუმენტირება პოლიციის დაწესებულებებში, შესაბამისი ოქმის შედგენით;
- ადვოკატისა ან/და დაკავებულის ოჯახის წევრისთვის უზრუნველყოფილი იყოს ნებისმიერ დროს, სატელეფონო რეჟიმში, ცენტრალიზებულად, დაკავებულის ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის მიღება. დაკავებულ პირს მიეცეს შესაძლებლობა, განყოფილებასა ან დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყვანის პროცედურების გავლამდეც (შესახლებამდე) შეხვდეს ადვოკატს;
- აღმოფხვრას დაკავებისას კანონმდებლობით გარანტირებული ზარის განხორციელების შეზღუდვის უკანონო პრაქტიკა. ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა დაკავებულებს უნდა მიეცეთ დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნის დროსაც. ხოლო უარის თქმის შემთხვევაში, უნდა შეიქმნას შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი (ოქმი), რომელზეც თავად დაკავებული მოაწერს ხელს;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა ადმინისტრაციულ შენობაში, სამუშაო დღისა და დროის მიუხედავად, უზრუნველყოფილი იყოს სპეციალური საშვის გარეშე ადვოკატის შესვლა დაკავებულის მოსანახულებლად;

- აღმოიფხვრას დაკავებული პირების პოლიციის მანქანაში არაგონივრული ვადით დაყოვნების პრაქტიკა და რაც შეიძლება სწრაფად გადაიყვანონ ისინი პოლიციის უახლოეს დაწესებულებასა ან სხვა სამართალდამცველ ორგანოში.

### საერთო სასამართლოებმა

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვისას იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებით.

### საკონსტიტუციო სასამართლომ

- პრიორიტეტი მიანიჭოს და დროულად განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან მიმართებით წარდგენილი საჩივრები.